განმცხადებელი : საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თარიღი : 17-10-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია ,,იმედის" ჟურნალისტები: ცოტნე გეგეჭკორი, გიორგი ხითარიშვილი და ბაჩო ბროძელი; ტელეკომპანია ,,იმედის" ჟურნალისტი/წამყვანი - ირაკლი ჩიხლაძე.

სადავო მასალა : https://www.facebook.com/imediskvira/videos/633470008249249/ ; https://www.facebook.com/imediskvira/videos/529044088963448.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : **,,მდიდარი ენჯეოების კლანი", ,,მდიდარი NGO-ების დაფარული ხარჯები"** - ასე დაასათაურა ტელეკომპანია "იმედმა" საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიიდან მე-4 სერია (იხ. სადავო სიუჟეტი https://www.facebook.com/imediskvira/videos/633470008249249/), რომელშიც არაერთი სიცრუე და დაუსაბუთებელი, სიმართლესთან შეუსაბამო ფაქტი გაჟღერდა საია-სთან დაკავშირებითაც.

დასახელებული სიუჟეტი გავიდა "იმედის კვირაში" 2022 წლის 02 ოქტომბერს და მისი ავტორები არიან ცოტნე გეგეჭკორი, გიორგი ხითარიშვილი და ბაჩო ბროძელი. სიუჟეტის მსვლელობისას ჟურნალისტი ცოტნე გეგეჭკორი არ ერიდება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი მითითებების გაჟღერებას საია-ს მიმართ, რაც აუდიტორიაზე მანიპულაციას ისახავს მიზნად.

საყურადღებოა სიუჟეტის სათაურიც: **,,მდიდარი ენჯეოების კლანი"**, ასევე, სოციალურ ქსელში სიუჟეტის განთავსებისას მის სათაურად მიეთითა: **,,მდიდარი NGO-ების დაფარული ხარჯები"**, რაც თავის მხრივ უკვე შეიცავს დამახინჯებულ, მცდარ ფაქტებს. სათაური ცალკე ჟურნალისტური პროდუქტია, რომელსაც უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია მაყურებლის განწყობაზე. საბჭომ გადაწყვეტილებაში - *საქმე ანა გაბელაია მართა ლაბაძისა და Reportiori.ge-ს, kvira.ge-ს, digest.pia.ge-ს არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ* (2018 წელი) - განმარტა: **<u>,,მკითხველს აქვს მოლოდინი და ნდობა, რომ სტატიის სათაური არის თავად სტატიაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეჯერების შედეგად მიღებული და დადასტურებული დასკვნა და შეიძლება არც ჩათვალოს საჭიროდ სტატიის სრულად გაცნობა იმ დაშვებით, რომ სტატიის ძირითადი მიგნება მან უკვე წაიკითხა სათაურში.''</u>** აღნიშნული შეგვიძლია გავავრცელოთ სიუჟეტზე, როგორც ჟურნალისტურ პროდუქტზე, რომელიც შესავლის, ვიზუალიზაციის, ჟურნალისტური შეფასებების, ფაქტების გადმოცემისა და სათაურის ერთობლიობაა. აღნიშნული სათაური არის პროვოკაციული და მანიპულაციური, მტკიცებით ფორმაში გადმოცემული, როგორც ფაქტი, რაც მკითხველს უჩენს შთაბეჭდილებას, რომ საია მართლაც ,,მდიდარია'', რაიმე ,,კლანის" წევრია და ამავდროულად თითქოს მისი "ხარჯები დაფარულია". მკითხველი სათაურის წაკითხვისთანავე მტრულად ხდება განწყობილი სიუჟეტის ობიექტისადმი, რაც სიუჟეტის კონტექსტის გათვალისწინებით აყალიბებს მცდარ წარმოდგენას საია-ზე. აღნიშნული სათაურის მტკიცებით ფორმაში გადმოცემა არღვევს ქარტიის პირველ პრინციპს, ვინაიდან გადაუმოწმებელი და უსაფუძვლოა სათაურში ასახული ინფორმაცია, ჟურნალისტები არც კი ცდილობენ, დაასაბუთონ, რატომ და რის საფუძველზეა საია ,,მდიდარი'' და ,,კლანური'' არასამთავრობო ორგანიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ წარმოადგენს გამოთქმულ მოსაზრებას, შეფასების კატეგორიას, არამედ მტკიცებითი ფორმით გამოხატული ფაქტია, რომელიც სიმართლესთან შეუსაბამობაშია.

დასახელებული, 2022 წლის 02 ოქტომბერს "იმედის" ეთერში გასული სიუჟეტის 0:57 წუთზე ჟურნალისტი ამბობს შემდეგს: ***„მიუხედავად დაბალი ცნობადობისა და დაბალი ნდობისა, მდიდარი ენჯეოების ნაწილი დღეს თავს სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებს. ისინი ამ ფსევდო ლეგიტიმაციით ცდილობენ ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესში ისევე იყვნენ ჩართულები, როგორც ქვეყნის ის კანონმდებლები, რომელთაც ეს ლეგიტიმაცია არჩევნების გზით ასი ათასობით მხარდამჭერის ხმის მოპოვების შედეგად მიიღეს."*** ამ გამონათქვამშიც აშკარაა ჟურნალისტური ქარტიის 1-ლი და მე-11 პრინციპების დარღვევა, ჟურნალისტი არ ერიდება ისეთი ფრაზების უსაფუძვლოდ გამოყენებას, როგორებიცაა: „მდიდარი", „დაბალი ცნობადობისა და დაბალი ნდობის მქონე", „ფსევდო ლეგიტიმაცია", ასევე აშკარაა მითითება, თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებში ხელისუფლების წარმომადგენლებივით ჩართვას, რაც არც ერთი არგუმენტით არ არის გამყარებული.

ქარტიის პრაქტიკის თანახმად, **მინიმუმ ორი დამოუკიდებელი წყარო უნდა ადასტურებდეს ინფორმაციას, იმისათვის, რომ ის მტკიცებით ფორმაში გადაიცეს.** გადამოწმების შემადგენელი ნაწილია ბალანსი, ბრალდების ობიექტის საპასუხო კომენტარის მოპოვება, ყველა რელევანტურ წყაროსთან ინფორმაციის დაზუსტება. საზოგადოება უფლებამოსილია, იცოდეს ყველა შესაძლო წყაროსა და მხარის პოზიცია ინფორმაციის შესახებ, რათა თავად შეძლოს ამ ინფორმაციის სანდოობისა ან/და ნამდვილობის შეფასება. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში გადმოსცემს დაუსაბუთებელ ფრაზებს არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის საია-ს მიმართ. გაუგებარია, მან ამ სიტყვების წარმოთქმას საფუძვლად რომელი მტკიცებულება, ფაქტი, წყარო დაუდო. აშკარაა, რომ არც ერთი. საქმეში – *თეა თოფურია მირიან ბოქოლიშვილის წინააღმდეგ* (2011 წელი) – საბჭომ კვლავ იმსჯელა იმაზე, თუ რას გულისხმობს ეთიკური ვალდებულება, „ჟურნალისტმა პატივი სცეს სიმართლეს" ინფორმაციის გადამოწმების ჭრილში. **„პატივი სცეს სიმართლეს" ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედოს, რაც კი შედის მის შესაძლებლობაში, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია. მან შეიძლება ვერც კი შეძლოს საზოგადოებისთვის სიმართლის თქმა, მაგრამ „პატივისცემა" მიუთითებს მის ძალისხმევაზე."**

განსახილველი სიუჟეტის 01:54 წუთზე ჟურნალისტი მიუთითებს: ***„სხვადასხვა სანდო წყაროზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევნების გარეშე ძალაუფლებისკენ მსწრაფი ორგანიზაციების ხელმძღვანელების და მათი თანამშრომლების ხელფასები მკვეთრად აღემატება მთავრობის წევრების, კანონმდებლებისა და საჯარო მოხელეთა ანაზღაურებას."*** აღნიშნულ მცირე მონაკვეთშიც თითოეული წინადადება პრობლემურია, კერძოდ გაუგებარია, რომელი "სანდო წყარო" აძლევს ტელეკომპანია "იმედს" "თამამად" საუბრის საფუძველს. ფრაზა "არჩევნების გარეშე ძალაუფლებისკენ მსწრაფი" მიემართება ორგანიზაციებს და მანიპულაციურია საზოგადოების მიმართ, ამგვარი ტერმინებით ტელეკომპანია ცდილობს მაყურებელი განაწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. სიმართლესთან შეუსაბამოა ასევე ფრაზა, თითქოს ორგანიზაციათა თანამშრომლების ხელფასები მკვეთრად აღემატება მთავრობის წევრების, კანონმდებლებისა და საჯარო მოხელეთა ანაზღაურებას. გარდა იმისა, რომ ხელფასებთან დაკავშირებული ინფორმაცია არასწორია, გაურკვეველია, როგორ შეადარეს არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა თუ თანამშრომლების ხელფასები მათ მიერ ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა ხელფასებს, ვინაიდან შემოსავლების შესახებ ინფორმაცია საგადასახადო საიდუმლოებაა და არცერთი კანონიერი გზით ის ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები არ შეესაბამება სიმართლეს, რაც თავადაც კარგად იციან, თუმცა საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მიზნით ავრცელებენ არასწორ და გადაუმოწმებელ ინფორმაციას. თუ ისინი მიუთითებენ, რომ იციან სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელების და თანამშრომლების ხელფასები, მაშინ მათი ქმედება მაინც არასწორია, რადგან იმისთვის, რომ საია-ს შემთხვევაშიც იგივე ფრაზები გამოეყენებინათ, კონკრეტულად საია-ზე უნდა

ჰქონოდათ ინფორმაცია, რაც არ ჰქონიათ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან აშკარად იკვეთება ჟურნალისტური ქარტიის 1-ლი და მე-11 პრინციპების დარღვევა, რადგან განზრახ ვრცელდება გადაუმოწმებელი ინფორმაცია და ხდება ფაქტების დამახინჯება.

სიუჟეტის შემდეგ მომენტში, კერძოდ 02:10 წუთზე ჟურნალისტის საუბარი ასევე საფუძველს მოკლებულია და შეიმჩნევა კონტექსტის შეცვლა აუდიტორიაზე მანიპულაციის გზით, კერძოდ აღნიშნულია: *,,იმედის კვირის წყაროს მიერ ერთი კვირის უკან მოწოდებული ციფრები ენჯეოების ხელმძღვანელთა ხელფასების შესახებ ზუსტი აღმოჩნდა,* ***რაც რეპორტაჟის გასვლის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მისდაუნებურად დაგვიდასტურა,*** *როცა ჩვენს წერილზე პასუხად გვამცნეს, რომ თურმე ენჯეოების მთავარი მენეჯერების პერსონალური მონაცემები კანონდარღვევით გამოვაქვეყნეთ."* სიუჟეტის 02:32 წუთზე ჩნდება საია-ს ელექტრონული ფოსტიდან მიღებული წერილი, რომელიც საკმაო მოცულობისაა, მაგრამ ტელეკომპანია "იმედმა" რატომღაც ჩათვალა, რომ მაყურებლისთვის ამ წერილის მხოლოდ ერთი წინადადება: "პერსონალური ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებით, ცდილობთ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას" გაეჟღერებინა. ჟურნალისტის მითითება, თითქოს ამ ფრაზით ჩვენ რაიმე დავადასტურეთ, მანიპულაციურია, რადგან საია-ს მეილში მხოლოდ იმაზე იყო ხაზგასმა, რომ პერსონალური მონაცემების იმ სახით გამოქვეყნება, რაც წინა გადაცემაში მათ გააკეთეს, კანონის საწინააღმდეგო ქმედება იყო. თუმცა, იმედის ჟურნალისტებმა ეს ფრაზა თავის სასარგებლოდ და მაყურებელზე მანიპულაციის მიზნით გამოიყენა. ასევე, აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ საია-ს მეილიდან სხვა ნაწილის შინაარსი, რომელიც მათთვის მიუღებელი იყო, მაყურებლისთვის არ მიუწოდებიათ. ის რომ მეილი ეკრანზე აჩვენეს, არაფერს ცვლიდა, რადგან შეუძლებელი იყო მეილის ტექსტი ამოგეკითხა, თუ სიუჟეტს არ დააპაუზებდი და ისე არ შეეცდებოდი მის წაკითხვას.

ჟურნალისტი 02:44 წუთზე ამბობს: *,,ენჯეოების მთავარი მიზანი ისევ და ისევ მეტი უცხოური გრანტია,* ***ამიტომ უტყუარია, რომ ისინი საზოგადოების ინტერესის ნაცვლად იმ პოზიციას გამოხატავენ, რაც მათ უფრო მეტ უცხოურ გრანტს და მაღალ ანაზღაურებას მოუტანს."*** წარმოდგენილი ბრალდებაც უსაფუძვლო, რეალობასთან შეუსაბამოა და გაუგებარია რა აძლევს ჟურნალისტს ისეთი სიტყვების თქმის საშუალებას, როგორიცაა "უტყუარი" ან იმის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოების ინტერესებს არ გამოხატავენ. აღნიშნული წინადადებაც მიზნად ისახავს მაყურებლებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ უარყოფითი პოზიციის ჩამოყალიბებას, რადგან ტელეკომპანია "იმედი" უშუალოდ საზოგადოების ინტერესების უგულვებელყოფაზე აპელირებს, რაც სრულიად შეუსაბამოა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საქმიანობასთან და მათ შორის, ორგანიზაციის წესდებასთან (შეგიძლიათ იხილოთ: https://gyla.ge/ge/page/statute), რომლის მე-2 მუხლიც ითვალისწინებს ასოციაციის მიზნებს:

მუხლი **2.** *მიზნები*

2.1. *ასოციაციის მიზნებია*:

ა) *საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონის უზენაესობის*

დამკვიდრება; **(18.11.2018)**

ბ) *სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის*

განვითარება;

გ) *ადამიანის ღირსების*, *უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა*;

დ) *იურიდიული პროფესიის განვითარება*, *პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება*.

მნიშვნელოვანია წესდების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტიც, რომელიც მიუთითებს: "*ასოციაციის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას*."

გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ სიუჟეტში სრულიად ზოგადი ფრაზებია გამოყენებული, რაც ზოგადად უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ემსახურება, ჟურნალისტი არ აკონკრეტებს მტკიცებულებებს, რომლებსაც დაემყარებოდა მისი საუბარი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ჟურნალისტური ქარტიის 1-ლი პრინციპის დარღვევაზე, რომლის განმარტების მიხედვითაც: **"***ზუსტ ინფორმაციად***,** *შეთანხმების თანახმად***,** *ჩაითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია***,** *რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი***,** *ადგილი***,** *მოვლენა* **–** *ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია***."**

08:24 წუთზე ჟურნალისტი კონკრეტულად ასახელებს არასამთავრობო ორგანიზაციებს და აღნიშნავს: *,,ხშირ შემთხვევაში "საიას", "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს", "სამართლიანი არჩევნებისა" და "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" მიერ განხორციელებული პროექტები ერთმანეთს იმეორებს. ქართული გაგებით ისინი სამოქალაქო საზოგადოებად ითვლებიან",* 08:38 წუთიდან კი აჟღერებს შემდეგს: ***,,მაშინ როცა მათ დამფუძნებელთა საერთო რიცხვი 20 ადამიანს არ აღემატება*** *და ერთი ადამიანი შეიძლება სხვადასხვა ორგანიზაციის დამფუძნებლადაც გვევლინებოდეს."* ზემოაღნიშნული ინფორმაციაც არ შეესაბამება სიმართლეს. საქმეში *დიმიტრი ქუმსიშვილი ელისო კილაძის წინააღმდეგ* (2018 წელი) საბჭომ განმარტა შემდეგი: **„ეთიკური ჟურნალისტიკის ერთ–ერთი მთავარი პრინციპია პატივისცემა აუდიტორიის უფლებისათვის, რომ მიიღოს სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია.." ,,ჟურნალისტს შეიძლება არ ჰქონდეს ოფიციალური ინფორმაცია და დაეყრდნოს კონფიდენციალურ წყაროს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, რომ ყველა ღონე იხმაროს ინფორმაციის ღია წყაროებთან გადასამოწმებლად. ხოლო თუ ვერ ხერხდება ინფორმაციის გადამოწმება, ამის შესახებ ცალსახად უნდა *აცნობოს აუდიტორიას."*** მაგრამ, როდესაც ტელეკომპანიის მიზანია საზოგადოებას განზრახ დამახინჯებული ფაქტები მიაწოდოს, ცხადია მისი მხრიდან არ მოხდება ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობის დადგენა, რაც არაერთხელ დასახელებულ ჟურნალისტური ქარტიის 1-ლი და მე-11 პრინციპების დარღვევას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

სიუჟეტი შეიცავს მცდარ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების მმართველობასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად კი, ჟურნალისტი ცოტნე გეგეჭკორი 08:47 წუთზე ამბობს: ***,,ფინანსდებოდეს უცხოური გრანტებით და იმართებოდეს ავტორიტარულად. იმგვარად, რომ მის მართვაში, გადაწყვეტილების მიღებაში მის თანამშრომლებს არანაირი არსებითი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ და მხოლოდ მენეჯმენტის მითითებებს, დავალებებს ასრულებენ."*** აღნიშნული კიდევ ერთი რადიკალური გამოხატულებაა, რომლითაც "იმედი" ცდილობს აუდიტორია უარყოფითად განაწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ. ამ ფრაზის სიმართლესთან შეუსაბამობას ადასტურებს თავად საია-ს წესდებაც, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი, როგორ ხდება მისი მმართველობა. ასოციაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ასოციაციის წევრთა საერთო კრება, რომლის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა გამგეობის წევრების არჩევა. წესდების 8.1 მუხლში მოცემულია, რომ *ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა 21 წევრისაგან შემდგარი გამგეობა. გამგეობის წევრებს ასოციაციის წევრთაგან სამი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება. გამგეობის შემადგენლობა ყოველწლიურად განახლდება ერთი მესამედით, რომელთაგან ასოციაციასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების რაოდენობა ორს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, ასოციაციასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების საერთო რაოდენობა გამგეობის შემადგენლობაში 6-ს არ უნდა აღემატებოდეს.* ამ ნორმიდან კარგად ჩანს, რომ გამგეობის წევრები, რომელიც საია-ს ხელმძღვანელი ორგანოა, საია-ს თანამშრომლებიც არიან. შესაბამისად, ცხადია, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ორგანიზაციის მართვაში და ეს არ არის ფორმალური მონაწილეობა. გარდა ამისა, გადაწყვეტილებების მიღებისას ისედაც გათვალისწინებულია თანამშრომლების მოსაზრებები.

სიუჟეტი სრულდება ჟურნალისტის მიერ 10:24 წუთიდან წარმოთქმული არა ნაკლებ მკვეთრი განცხადებით: ***,,სამწუხაროდ, საქართველოში მოღვაწე ყველაზე მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტში ვერ ჯდებიან, რადგან ისინი***

უბრალოდ არ წარმოადგენენ მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს და ხშირ შემთხვევაში, არც მათი წევრებისა და თანამშრომლების ინტერესებს. ასეთი ტიპის ორგანიზაციები წარმოადგენენ იმ ინტერესებსა და ფასეულობებს, რომლებიც დღეს მათ პოლიტიკოს დამფუძნებლებს და ზოგ შემთხვევაში, უცხოურ დონორებსაც აწყობთ. მდიდარ ენჯეოებს კი აზარტად ექცათ იმ ფულით ცხოვრება, რომელსაც დონორები მათ უხვად, გრანტების სახით უგზავნიან." ამ სიტყვებშიც არაერთი პროვოკაციული ფრაზაა, ჟურნალისტი ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოიხსენიებს როგორც "მდიდარს" და "აზარტად ექცათ იმ ფულით ცხოვრება, რომელსაც დონორები მათ უხვად, გრანტების სახით უგზავნიან" არის წინადადება, რომელიც უშუალო ქართული საზოგადოების მანიპულაციაზეა ორიენტირებული, რადგან "იმედისთვის" კარგად არის ცნობილი, რომ ეკონომიკურად გაჭირვებულ ქვეყანაში აუდიტორიისთვის უარყოფითი წარმოდგენის შემქმნელი იქნება მსგავსი ფრაზების გამოყენება და მითითება, თითქოსდა საია და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოების ინტერესების დაცვის ნაცვლად მხოლოდ საკუთარ ფინანსურ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. გარდა იმისა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება, შეურაცხმყოფელიც კია ფრაზები, თითქოს საია არ წარმოადგენს მოქალაქეთა, მისი წევრებისა და თანამშრომლების ინტერესებს მაშინ, როდესაც ორგანიზაციის მთელი საქმიანობა საზოგადოების ინტერესების დაცვისკენაა მიმართული. ორგანიზაციის წევრების ინტერესები საია-ს სწორი მმართველობით, მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებით არის უზრუნველყოფილი. ის საკითხი კი სრულიად გაურკვეველია, რის საფუძველზე ამბობენ, რომ საია არ წარმოადგენს საკუთარი თანამშრომლების ინტერესებს.

რაც შეეხება ფრაზას - "მათ პოლიტიკოს დამფუძნებლებს" ის მიზნად ისახავს არასამთავრობოების პოლიტიკურ ძალებთან დაკავშირებას, რაც არა ერთხელ შეიმჩნევა ტელეკომპანია "იმედის" სიუჟეტებში, კერძოდ ტელეკომპანია ცდილობს, საია და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები დაუკავშიროს ოპოზიციაში მყოფ პარტიებს და ზოგადად პოლიტიკურ ცხოვრებას, თითქოს ისინი ერეოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმართებოდნენ პოლიტიკოსების მიერ და იცავდნენ მათ ინტერესებს, რაც ასევე შეუსაბამოა სინამდვილესთან და პროვოკაციულია. ორგანიზაციის პოლიტიკოსებთან აფილირება და ამით საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა, იმედის ჟურნალისტების მხრიდან ახალი ბრალდება ნამდვილად არ არის, რაც სწორედ მათი მხრიდან კამპანიურ დისკრედიტაციის მცდელობაზე მიუთითებს. ჟურნალისტებისთვის ცნობილია, რომ ეს ფაქტები სიცრუეა, მაგრამ მაინც განზრახ ავრცელებენ, რაც ჟურნალისტური ქარტიის მე-11 პრინციპის დარღვევაზე მიუთითებს, ასევე, დარღვეულია 1-ლი პრინციპიც.

შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაშიც ორივე პრინციპი ირღვევა. საბჭოს მიერ ფაქტები განზრახ დამახინჯებულად ჩაითვალა, როცა დადგინდა, რომ:

1. ჟურნალისტმა ზუსტად იცოდა, რა იყო სწორი ინფორმაცია და, მიუხედავად ამისა, მაინც არაზუსტი ინფორმაცია გაავრცელა;

2. ობიექტური გარემოებები იძლეოდნენ დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ჟურნალისტმა იცოდა ნამდვილი ფაქტი და მაინც არაზუსტად გაავრცელა;

3. მედიასაშუალებების მიერ ამ თემაზე არასწორი ინფორმაციების გავრცელება ატარებს კამპანიურ და განგრძობად ხასიათს.

ამ შემთხვევაშიც სწორედ ეს გარემოებებია სახეზე, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებმა სიმართლე იციან, მაინც არაზუსტ ინფორმაციას ავრცელებენ. გარდა ამისა, ტელეკომპანია "იმედი" არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ სწორედ მიზანმიმართულ მადისკრედიტირებელ კამპანიას ახორციელებს და გამოქვეყნებულ სიუჟეტში თავადვე მიუთითებს, რომ ის მე-4 სერიას წარმოადგენს. აღნიშნული მართლაც მხოლოდ ერთ-ერთია იმ სიუჟეტთა სერიიდან, რომელიც უსამართლოდ, უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად აჟღერებს ცრუ ფაქტებს ორგანიზაციების მიმართ და პროვოკაციულად ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და არასამთავრობოების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

შეჯაამების სახით უნდა ითქვას, რომ ტელეკომპანია "იმედის" მიერ 2022 წლის 02 ოქტომბერს, გადაცემა "იმედის კვირაში" გასული სიუჟეტი, რომელიც დასათაურებულია, როგორც **"მდიდარი ენჯეოების კლანი"** არის შეუსაბამო საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის პირველ და მე-11 პრინციპებთან. სიუჟეტის ავტორები არიან ცოტნე გეგეჭკორი, გიორგი ხითარიშვილი, ბაჩო ბროძელი, რომლებისგანაც მარტივად შეიმჩნევა არაეთიკური დამოკიდებულება საკუთარი პროფესიის და მაყურებელთა მიმართ. შესაბამისად ვითხოვთ დადგინდეს ჟურნალისტური ეთიკის 1-ლი და მე-11 პრინციპების დარღვევა:

პრინციპი 1: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – **მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

პრინციპი 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: **ფაქტის განზრახ დამახინჯება.**

მეორე სადავო სიუჟეტიც "იმედის" მიერ გამოქვეყნდა, ასევე "იმედის კვირაში" 2022 წლის 09 ოქტომბერს (იხ. სიუჟეტი https://www.facebook.com/imediskvira/videos/1819308931765197, გადაცემის სრული ვერსია - https://www.facebook.com/imediskvira/videos/529044088963448, რომელშიც სიუჟეტი იწყება 12:39 წთ.-დან და მისი განხილვისას ფრაზების გაჟღერების დრო მითითებული იქნება გადაცემის სრული ვერსიის მიხედვით) .

სიუჟეტის მე-5 სერიაც წარმოადგენს "იმედის" წამოწყებული კამპანიის ნაწილს და მისი სათაურია: **"მდიდარი არასამთავრობოების კლანი"**, რაც ცალკე დავის საგანი შეიძლება იყოს და როგორც მე-4 სიუჟეტზე მსჯელობისას აღინიშნა სიტყვები "მდიდარი" და "კლანი" უკვე უსაფუძვლო ბრალდებების შემცველია, არ შეესაბამება სინამდვილეს და მანიპულაციას ახდენს საზოგადოებაზე.

სიუჟეტში საუბარი დაიწყო გადაცემის წამყვანმა - ირაკლი ჩიხლაძემ, რომელიც 12:55 წთ.-ზე ამბობს: ***,,კონკრეტულად რაში იხარჯება დონორების მიერ პროექტებისთვის გამოყოფილი მილიონები, ამ შეკითხვაზე მოკლე პასუხს ვიღებთ, რომ ყველა ანგარიში მათ ვებ-გვერდზეა, თუმცა ეს მონაცემები ძალიან მწირია და მხოლოდ პროექტის საერთო ღირებულებაზეა საუბარი კონკრეტულ აღწერაში."*** ტელეკომპანია ,,იმედის" ჟურნალისტებმა ელექტრონული ფოსტის საშუალებით საკმაოდ ვრცელი პასუხი მიიღეს საია-სგან, მაგრამ რატომღაც მისი შინაარსი საზოგადოებისთვის არ გახადა ცნობილი და მხოლოდ ერთი წინადადება გააჟღერა შეცვლილი კონტექსტით. მეილში, რომელსაც წინამდებარე საჩივარს მტკიცებულებად ვურთავთ, დეტალურად იყო მითითება ყველა ანგარიშზე, რომელიც არამარტო ფინანსურ ანგარიშს მოიცავდა, არამედ, ნარატიულ ანგარიშსაც, რომელშიც ჟურნალისტებს შეეძლოთ ენახათ, თითოეული პროექტი რას მოიცავდა. აღნიშნულზე ჟურნალისტებს არაფერი უთქვამთ, საზოგადოებას ეს ინფორმაცია დაუმალეს, რადგან ეს მათი კამპანიისთვის ხელსაყრელი არ იყო. შესაბამისად, სახეზეა არამარტო 1-ლი, არამედ მე-11 პრინციპის დარღვევაც.

სიუჟეტის განხილვა კვლავ წამყვანის პროვოკაციული სიტყვებით სრულდება, რომელიც სრული გადაცემის 21:08 წუთზე გაჟღერდა: ***,,ამ შედეგს ნამდვილად სჯობდა, ერთი თვის განმავლობაში ყოველ კვირას გეხვეწებოდით კომენტარებს და გესაუბრათ თქვენს მიერ გაკეთებულ საქმეებზე. რა თქმა უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციებს მივმართავ და ბუნებრივია, ამხელა ტრიბუნა უნდა გამოგეყენებინათ, თუნდაც აი ამ ადამიანებისთვის, რომლებიც მეტად გაიგებდნენ თქვენი საქმიანობის შესახებ, თუ რა თქმა უნდა, რამე რეალურად გაქვთ გაკეთებული."*** წამყვანის სიტყვებში შეინიშნება უარყოფითი დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, თითქოს "ასეთი შედეგი" გამოიწვია "ყოველკვირეული ხვეწნის" მიუხედავად ორგანიზაციების ჩაურთველობამ იმედის სიუჟეტებში, მაგრამ ბუნებრივია, ასეთი შედეგი, ესე იგი ასეთი მანიპულაციური სიუჟეტი, მხოლოდ და მხოლოდ იმედის უარყოფითი დამოკიდებულებიდან და

პროვოკაციული მიზნებიდან არის განპირობებული. ასევე სიუჟეტზე საუბრის ბოლოსაც, წამყვანი შეეცადა საზოგადოების გულის მოგებას და ინფორმაციის იმგვარად მიწოდებას, თითქოს მის მიზანს მხოლოდ მაყურებლის ინფორმირება წარმოადგენდეს და არასამთავრობო ორგანიზაციები ხელს უშლიდნენ ამ მიზნის მიღწევაში მაშინ, როდესაც საია თავიდანვე პასუხობდა მათ კითხვებს, რასაც სადავო სიუჟეტებამდე გასული ინტერვიუები მოწმობს. ბოლო წინადადება კი, იმდენად მანიპულაციურია, რომ ამის შემდგომ ეთიკურ ჟურნალისტიკაზე საუბარი ზედმეტია. წამყვანმა საია-ს მიერ ამდენი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა უბრალოდ უგულებელჰყო, რითაც კარგად ჩანს მათი რეალური დამოკიდებულება არამარტო არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, ასევე, მაყურებლების მიმართ, რომელთათვისაც სწორი ინფორმაციის მიწოდება კი არაა მათი პრიორიტეტი, არამედ, კონკრეტული პირთა წრის ინტერესების გატარება. გარდა იმისა, რომ ,,იმედის" ჟურნალისტები ორგანიზაციის რეპუტაციას ლახავენ საზოგადოებაში, ყველა იმ ადამიანის შრომას აყენებენ ჩრდილს, რომელიც საზოგადოებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ თავდაუზოგავად და მთელი ენთუზიაზმით შრომობს.

ირაკლი ჩიხლაძის ზემოაღნიშნული ფრაზებიდან გამომდინარე, ვითხოვთ, რომ დადგინდეს მის მიერ ქარტიის 1-ლი და მე-11 პრინციპების დარღვევა.

მათი მიზნების გამოსაკვეთად მარტივი მაგალითია თუნდაც სიუჟეტის ავტორი, ჟურნალისტი - ცოტნე გეგეჭკორის მიერ სიუჟეტის 14:06 წთ.-დან წარმოთქმული სიტყვები: ***,,მათი ყველაზე ცნობილი ფოტოები ინტერნეტიდან ჩამოვტვირთეთ და ასე გავედით ხალხში".*** ამ სიტყვებს ჟურნალისტი ამბობს მაშინ, როდესაც საია-ს თავმჯდომარის ფოტო, რომელსაც ხალხს აჩვენებდნენ მის ამოსაცნობად, 7 წლის წინ არის გადაღებული, რაც ნამდვილად არ არის ცოტა დრო, ეს ფოტო კი ყველაზე ცნობილი ნამდვილად ვერ იქნება. ჟურნალისტს ნებისმიერი წლევანდელი ფოტოს ჩამოტვირთვა შეეძლო, მაგრამ გადაწყვიტა, 7 წლის წინანდელი ფოტოთი დაებნია ის ხალხი, ვისაც ნიკას ამოცნობას სთხოვდა.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2021 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე N - 456 - *კავკასიის უნივერსიტეტი ეთუნა ინწკირველის და მირანდა ბაღათურიას წინააღმდეგ*, საბჭომ აღნიშნა, რომ **<u>პირველი პრინციპის დარღვევის დასადასტურებლად აუცილებელი არ არის, საბჭომ ზუსტად დაადგინოს, გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს; საბჭო ჟურნალისტურ პროდუქტს აანალიზებს აუდიტორიის პოზიციიდან და ცდილობს გამოიკვლიოს, რამდენად სცა ჟურნალისტმა პატივი საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. სწორედ იმ ძალისხმევას აფასებს, რაც ჟურნალისტმა გასწია ინფორმაციის გადასამოწმებლად. რესპონდენტის მიერ ინფორმაციის მიწოდება არ ათავისუფლებს ჟურნალისტს მისი გადამოწმების მოვალეობისაგან, ვინაიდან გადამოწმების გარეშე აუდიტორია მხოლოდ ცალმხრივ და დაუბალანსებელ ინფორმაციას იღებს.</u>** განსახილველ შემთხვევაში ცალსახაა, ჟურნალისტმა არ გამოიჩინა ძალისხმევა, რომ ორივე მხარის პოზიციის შემცველი, გადამოწმებული ინფორმაცია მიეწოდებინა მაყურებლისათვის.

ქარტიის პრაქტიკაში არის რამდენიმე გადაწყვეტილება, როდესაც პირველი პრინციპის დარღვევა დადგინდა **ინფორმაციის მაყურებლისათვის მანიპულაციურად მიწოდებით**, კონტექსტის გათვალისწინებით, ანონსის და სხვა გარემოებების ერთობლიობის საფუძველზე. საბჭო გადაწყვეტილებაში საქმეზე - *ტარიელ ქათამაძე სესილი ბოკერიას, ნატო გოგელიას და TV პირველის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის წინააღმდეგ* განმარტავს, რომ მე-11 პრინციპს საბჭო მაშინ მიიჩნევს დარღვეულად, თუ დადასტურებულია **ასეთი განზრახვის მოტივი, ან კამპანიურად ვრცელდება არასწორი ინფორმაცია.** ტელეკომპანია "იმედის" მხრიდან საია-ზე მანიპულაციური სიუჟეტებით თავდასხმა რომ კამპანიურ ხასიათს ატარებს, ეს არახალია. მაგალითისთვის წარმოდგენილი იქნება შემდეგი ჟურნალისტური მასალები:

- 2021 წლის 20 სექტემბერს, ტელეკომპანია ,,იმედის“ ეთერში, 14:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი „საიას სარჩელი“ მოპასუხე: წამყვანი - ლევან კვატაშიძე, სიუჟეტის ავტორი - ნათია სონღულაშვილი.
- 2021 წლის 20 სექტემბერს, ტელეკომპანია ,,იმედის“ ეთერში, 17:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი „საიას სარჩელი“, მოპასუხე: წამყვანი - ნინო თოლორდავა, სიუჟეტის ავტორი - ნათია სონღულაშვილი.
- 2021 წლის 20 სექტემბერს, ტელეკომპანია ,,იმედის“ ეთერში, 20:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი „ნაცნობი შინაარსის სარჩელი, ნაცნობ დროს, განსხვავებული ავტორით“, მოპასუხეები: წამყვანები - ლევან ჯავახიშვილი და ხატია ქვათაძე, ჟურნალისტი - ნათია სონღულაშვილი.

აღნიშნულ სადავო სიუჟეტებთან დაკავშირებით საბჭომ საია-ს საჩივარი დააკმაყოფილა. (იხ: https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/90964-gadatsyvetileba-saqmeze-saqarthvelos-akhalgazrda-iuristtha-asociacia-nathia-songhulashvilis-levan-kvatashidzis-levan-javakhishvilis-khatia-qvathadzis-da-nino-tholordavas-tsinaaghmdeg გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ნათია სონღულაშვილის, ლევან კვატაშიძის, ლევან ჯავახიშვილის, ხატია ქვათაძის და ნინო თოლორდავას წინააღმდეგ).

2019 წლის 02 მაისს ტელეკომპანია იმედის მიერ ასევე მომზადდა სიუჟეტი - „საია-ს შუალედურმა ანგარიშმა ორგანიზაციის სამართალმცოდნეების კვალიფიკაცია ეჭქვეშ დააყენა“, სადაც ასევე გაკრიტიკებულია საია და გარკვეულწილად მათი ქმედების შეფასება ხდება მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებზე მანიპულაციით.

ტელეკომპანია ,,იმედის'' მიერ საია-ს შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელების კამპანიურ ხასიათს მოწმობს სამაუწყებლო კომპანია „იმედის“ ეთერში, 2019 წლის 14 მარტის 20:00 საათიან „ქრონიკაში“ გასული სიუჟეტი - ,,აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში - დოკუმენტში საქართველოს 47 გვერდი ეთმობა,“ რომელთან დაკავშირებულ საჩივარზე საბჭომ დაადგინა ქარტიის 1, 3, 5 და 11 პრინციპების დარღვევა (იხ: https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/73985-gadatsyvetileba-saqmeze-saia-nathia-songhulashvilis-tsinaaghmdeg) .

საგულისხმოა, რომ კიდევ ერთი წინაპირობა მე-11 პრინციპის დარღვევის დასადგენად არის გარემოება, როცა ერთი და იმავე მედიის მიერ, ერთი და იმავე სუბიექტის/სუბიექტების მიმართ არაერთგზის, კამპანიურად, ვრცელდება არასწორი ან/და გადაუმოწმებელი ინფორმაცია. 2019 წლის 29 მაისის საქმეში *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია [საია] ნათია სონღულაშვილის წინააღმდეგ“* საბჭომ დაადგინა, რომ ტელეკომპანია იმედის ჟურნალისტმა, ნათია სონღულაშვილმა, საია-ს შესახებ გაავრცელა არასწორი ინფორმაცია და ეს განზრახ გააკეთა. ამავე გადაწყვეტილებაში საბჭომ მიუთითა, რომ: ***,,ქარტიის საბჭოს დაკვირვებით, მოძიებული სიუჟეტებით აშკარაა "იმედის" მიერ ხელისუფლების მხარდამჭერი სარედაქციო პოლიტიკის გატარება. ტელეკომპანია "იმედი" არაერთხელაა მხილებული ხელისუფლებისადმი ლოიალური საინფორმაციო კამპანიით, "იმედის" მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ხშირად არის ხელისუფლების მიერ ორგანიზებული, დაგეგმილი ნარატივის გამტარებელი. აშკარაა, რომ ის უმეტესწილად უზრუნველყოფს ხელისუფლების მიერ "ამოჩემებული" პერსონების თუ ორგანიზაციების "გაშავებას", რასაც ადასტურებს მედიამონიტორინგები". ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭო მიიჩნევს, რომ წინამდებარე სიუჟეტებიც ამ ხაზის გაგრძელებაა და არასწორი ინფორმაციის გავრცელება განზრახ მოხდა,“*** - განმარტა საბჭომ გადაწყვეტილებაში *საქმეზე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ნათია*

სონღულაშვილის, ლევან კვატაშიძის, ლევან ჯავახიშვილის, ხატია ქვათაძის და *ნინო თოლორდავას წინააღმდეგ*. სწორედ იმავე, კარგად ნაცნობ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამჟამადაც.

ზემოაღნიშნული ფაქტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე აშკარა და ცხადი ხდება მე-11 პრინციპის დარღვევა ზემოთ აღნიშნულ ასპექტშიც, კერძოდ ერთი და იმავე მედიის მიერ (ამ შემთხვევაში, ტელეკომპანია "იმედის" მიერ), ერთი და იმავე სუბიექტის / სუბიექტების მიმართ (ამ შემთხვევაში საია-ს მიმართ) არაერთგზის, კამპანიურად, არასწორი ან/და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება, ხელისუფლების ნარატივის გაჟღერება.

ყოველივე ზემოთ წარმოდგენილიდან გამომდინარე ტელეკომპანია იმედის მიერ 2022 წლის 02 ოქტომბერსა და 09 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სიუჟეტებში, რომლებიც მე-4 და მე-5 სერიას წარმოადგენს მათი წამოწყებული კამპანიიდან, ხდება საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანა, მანიპულირება, არა ერთხელ შეიმჩნევა ჟურნალისტისა და წამყვანის მხრიდან სიმართლისადმი და საზოგადოების უფლებებისადმი უპატივცემულობა, ინფორმაციის გადაუმოწმებლობა და ფაქტების განზრახ დამახინჯება, რაც საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის 1-ლი და მე-11 პრინციპების დარღვევაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, საია ითხოვს დადგინდეს 2022 წლის 02 ოქტომბრისა და 09 ოქტომბრის სიუჟეტების ავტორთა (ცოტნე გეგეჭკორი, გიორგი ხითარიშვილი, ბაჩო ბროძელი, გადაცემის წამყვანი - ირაკლი ჩიხლაძე) მხრიდან საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის პირველი და მე-11 პრინციპების დარღვევა.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. : ვეთანხმები